ანტიკური ტექსტის ტრანსფორმაცია პოსტმოდერნისტულ ქართულ ლიტერატურაში

მარიამი აფციაური

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების

მოთხოვნის შესაბამისად

უცხო ენათა ფილოლოგია და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

(შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა)

ხელმძღვანელი: ბელა წიფურია, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი,2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამი აფციაური, 28.06.2022.

აბსტრაქტი

ნაშრომის კვლევის მიზანია დაადგინოს, თუ როგორ ხდება ანტიკური ტექსტის ტრანსფორმაცია პოსტმოდერნისტულ ქართულ ლიტერატურაში.

კვლევის პროცესში საკვლევ ტექსტებად შერჩეულია ანტიკური ლიტერატურიდან ევრიპიდეს *მედეა* და არისტოფანეს კომედია *ბაყაყები,* ხოლო ქართული პოსტმოდერნისტული ლიტერატურიდან - ლაშა ბუღაძის პიესა *ანტიმედეა* და ზურაბ ქარუმიძის რომანი *ბაყაყები.*

სამეცნიერო წრეებში ანტიკურ ლიტერატურასა და თანამედროვე ლიტერატურის შესახებ არაერთი კვლევა არსებობს, რაც ცხადყოფს იმას, რომ საკითხი აქტუალური და მრავალმხრივია.

კვლევის პროცესში გამოყენებულია კომპარატისტული ლიტერატურათმცოდნეობითი მიდგომა, შედარება და ინტერტექსტუალური ელემენტების საფუძველზე ძირითადი მახასიათებლების გამოვლენა.

კვლევამ აჩვენა, რომ ანტიკური ტექსტის ტრანსფორმაციის პროცესში თანამედროვე ნაწარმოებში წარმოჩენილია ყველა ის თემა, რომელიც აქტუალურია დღევანდელ საზოგადოებაში. პოსტმოდერნისტი ავტორები ცდილობენ ანტიკური ტექსტების ფაბულა მოარგონ თანამედროვე რეალობას და ანტიკურ ტექსტთან მიმართებით პოსტმოდერნისტული მახასიათებლების გამოყენებით - იქნება ეს პაროდია, ირონია, ორმაგი კოდირება თუ სხვა - მიიტანონ თავიანთი სათქმელი მკითხველამდე.

ანტიკური ტექსტების ტრანსფორმაცია საკმაოდ გავრცელებული ფენომენია, რომელიც პოსტმოდერნისტული ლიტერატურის განუყოფელ ნაწილად რჩება.

საკვანძო სიტყვები: ანტიკური ლიტერატურა, პოსტმოდერნიზმი, ინტერტექსტუალობა, ევრიპიდე, არისტოფანე, ლაშა ბუღაძე, ზურაბ ქარუმიძე.

Abstract

The goal of the research work is to define how ancient Greek literary texts are transformed within postmodern Georgian literature.

For the research, the texts have been selected from the ancient Greek literature: the tragedy *Medea* by Euripides and the comedy *The Frogs* by Aristophanes. As for Georgian postmodern literature, the play *Antimedea* by Lasha Bughadze and the novel *The Frogs* by Zurab Karumidze have been chosen.

The literary scholarship is familiar with the numerous researches about antique and modern literature, confirming that the topic is actual and diverse.

For my research, approaches of comparative literary studies have been used, namely comparing and revealing the basic features of classical and postmodern texts on the basis of the intertextual elements.

The research showed that in the process of transformation of classical text, the postmodern literary works literature bring to the light all actual topics of the modern/postmodern society.

Postmodern authors try to fit the plot of the classical texts to the modern lifestyle; with the help of the postmodern features - particularly parody, irony, and double coding - bring their word to the reader.

Transformation and interpretation of ancient Greek literature is a widespread method in postmodernism, including Georgian postmodernism, which makes the texts developed on the basis of this method an inseparable part of the postmodern culture.

Key words: ancient Greek literature, postmodernism, intertextuality, Euripides, Aristophanes, Lasha Bughadze, Zurab Karumidze.

მადლობა

მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ადმინისტრაციას და პროფესორ-მასწავლებლებს სამაგისტრო საფეხურზე სწავლის პროცესში ხელშეწყობისათვის. მადლობა პროფესორს, აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს - ქალბატონ ბელა წიფურიას ნაშრომის მომზადების პროცესში შეტანილი წვლილისთვის.